

პროგრამის შინაარსი

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:

- ბგერა (ხანმოკლე – ხანგრძლივი, მუსიკალური-არამუსიკალური...), ხმოვანების სიძლიერე (ხმამაღალი - ხმადაბალი);
- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური); რიტმი (მეოთხედი და მერვედი გრძლიობები, 2-4 ტაქტი), ორწილადი, სამწილადი მეტრი.

სიმღერა:

- სიმღერა თანხლებით;
- სიმღერა ინდივიდუალურად და თანაკლასელებთან ერთად;
- მარტივი ერთხმიანი სიმღერები საბავშვო, ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან, მაგალითად: "ჟუჟუნა წვიმა", "ჭრელო პეპელა", "ლალე", "მზე შინა"; მ. დავითაშვილი – "ჩიტო, ჩიტო, ნაცარა", "ეს საწყალი კურდღელი", ლ. იაშვილი – "კრიჭი, კრიჭი"; გ. დარახველიძე - "ფიფქები"; ი. გურგულია - "აჩუ, აჩუ"; ი. ბრამსი - "ნანა"; ვ. ა. მოცარტი - "ნანა"; ჯ. პიერპონტერი – "Jingle Bells"; "Twinkle Twinkle Little Star" და სხვ.

განწყობილების გადმოცემა:

- სიხარული, მწუხარება, შიში, გაბრაზება და ა. შ.;
- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით.

მუსიკალური ტერმინები:

- ხმამაღლა, ხმადაბლა, ჩქარა, ნელა;
- კომპოზიტორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, გუნდი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

ხმის წარმოქმნის წყარო:

- ბუნება, ქუჩა, სახლი.

ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი თემაზე - ახალი წელი, გაზაფხული, შემოდგომა.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია: სიმღერის ტექსტი, სიუჟეტი, საინტერესო ეპიზოდები ცნობილი მუსიკოსების ბიოგრაფიიდან.

ხალხური და კლასიკური საკრავები:

- სალამური, დოლი, გუდასტვირი;
- ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა, ქსილოფონი.

სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები კლასიკური ნაწარმოებებიდან, საბავშვო პროგრამული პიესები, მაგალითად, "მესტვირული" გუდასტვირზე, "ნანა", "იავნანა", "ჭრელო პეპელა", "ჟუჟუნა წვიმა მოვიდა" (სამხმიანი ვარიანტი); "ახ, ლაზარე, ლაზარე", "მზე შინა", საგალობელი "წმიდაო ღმერთო", "ხორუმი" დოლზე, ოსური საცეკვაო "სიმდი", ფრანგული საბავშვო სიმღერა "Frere Jacques"; სპირიტუელსი "Ride the chariot"; ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭაყმაძე – საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი; ზ. ფალიაშვილი - ცეკვა "ქართული" ოპერიდან "დაისი"; ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატიურა "საჭიდაო"/"ლალე"/ "ინდი-მინდი"; რ. ლალიძე - "ჰიმნი დედა ენას", საორკესტრო პიესა "საჭიდაო"; ი. ს. ბახი - "გუდასტვირი", "ხუმრობა" (ფლეიტის სოლოთი) სიუიტიდან #2; ქ. ვ. გლუკი - "მელოდია" ფლეიტისათვის ოპერიდან "ორფეუსი"; ი. ჰაიდნი - საფორტეპიანო სონატა HOB.37, რე მაჟორი, I ნაწილი; ვ. ა. მოცარტი - მენუეტი ფა მაჟორი; ე. გრიგი - "მთის მეფის გამოქვაბული" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; პ. ჩაიკოვსკი - "პატარა გედების ცეკვა" ბალეტიდან "გედების ტბა", "პატარა ჯარისკაცების მარში" ციკლიდან "საბავშვო ალბომი"; ნ. რიმსკი-კორსაკოვი - "კელას გაფრენა"; კ. სენ-სანსი - "სპილო" ციკლიდან "ცხოველების კარნავალი"; ლ. ბეთჰოვენი - "ზაზუნა" და ა. შ.